გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი

გელათის მოხატული ტაძრების კონსერვაციის პრობლემები

მდგომარეობის შეფასება და რეკომენდაციები

მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლი - გელათის მონასტერი. **ID – 704**
შეტანის თარიღი - **1994**
საზღვრის მნიშვნელოვანი ცვლილება - **2017**
კრიტერიუმი - **(iv)**

წინამდებარე ანგარიში შესრულდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოს მომართვის (28/12/2022) პასუხად და საფუძვლად უდევს ცენტრის თანამშრომელთა მრავალწლიანი ექსპერტიზა, გელათის კონსერვაციის საკითხებთან დაკავშირებით მოწოდებული დოკუმენტაცია და 2023 წლის 20 იანვარს გელათში განხორციელებული სამუშაო ვიზიტის შედეგები. ანგარიშში განხილულია გელათის მოხატული ტაძრების კონსერვაციასთან დაკავშირებული მიმდინარე ძირითადი საკითხები.

თბილისი
იანვარი 2023

შინაარსი

1. მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლი „გელათის მონასტერი“: მართვა.....3

2. გადახურვები.....7

3. მოხატულობები.....12

4. დასკვნა.....19

5. დანართი.....20

6. ტაბულები.....22

1. მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლი "გელათის მონასტერი": მართვა

გელათის მონასტრის, როგორც მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის მართვასთან დაკავშირებული ფუნდამენტური პრობლემები მრავალმხრივია.

გადაწყვეტილებების მიღებისა და შეფასების მექანიზმის გაუმართაობა, ინფორმაციის წვდომის პრობლემა

გადაწყვეტილებების მიღების პროცესი უკიდურესად ცენტრალიზებული და გაუმჭვირვალეა. წინა წლებში არსებული სამეცნიერო მეთოდოლოგიური კომპონენტი (საბჭოები, რეცენზირება და ა.შ.) ამჟამად ყველა ეტაპზე უგულებელყოფილია. უცნობია სამუშაოთა შეფასების კრიტერიუმები და მექანიზმი. სამუშაოების ამსახველი დოკუმენტაცია, მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლთა მართვის საერთაშორისო სტანდარტებისა და არაერთი საერთაშორისო ქარტიის მოთხოვნების[1] საპირისპიროდ, პროფესიული წრეებისთვისაც კი რთული მოსაპოვებელია, და, შესაძლოა, უცნობიც.

იუნესკოს მოთხოვნების შეუსრულებლობა

მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის, 2021 წლის 16-31 ივლისს გამართული 44-ე სესიის დადგენილებაში გელათთან დაკავშირებით მკაფიო მოთხოვნებია ჩამოყალიბებული[2], რომლებიც არ შესრულებულა:

- არ არსებობს ძეგლის მართვის კომიტეტი;
- არ მოქმედებს ძეგლის მართვის გეგმა, რომელიც უკვე არსებით განახლებას საჭიროებს;
- არ არის შემუშავებული ძეგლის კონსერვაციის გეგმა, სამუშაოები კი ქაოტურად და ფრაგმენტირებულად მიმდინარეობს;
- გელათის საკითხებთან მიმართებით სრულიად ფორმალურია საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნულ სააგენტოსთან არსებული მსოფლიო მემკვიდრეობის საბჭოს როლი;

[1] Granada Convention, 1985, Articles: 14, 15, 17, 18 (https://rm.coe.int/168007a087); The Venice Charter, 1964; Article: 16 (https://www.icomos.org/en/participer/179-articles-en-francais/ressources/charters-and-standards/157-thevenice-charter).

[2] "State of conservation of properties inscribed on the World Heritage List, Gelati Monastery (Georgia) (C 710bis)", World Heritage Committee Extended forty-fourth session Fuzhou (China) / Online meeting 16-31 July 2021, გვ. 141-144, https://whc.unesco.org/archive/2021/whc21-44com-7B-en.pdf

- არ მოწყობილა მოხატული ტაძრების ერთიანი დროებითი გადახურვა.

სამუშაოების ქაოტურობა

ძეგლთა დაცვის მართვის მსოფლიოში აღიარებულ პრინციპებთან შეუთავსებლობის და პროცესის მეთოდოლოგიური გაუმართავობის მაგალითია ბოლო ხანს განხორციელებული სამუშაოების ჩამონათვალიც კი. ხელშეკრულებები, რომელთა შესახებ პროფესიული წრე ინფორმაციას მხოლოდ მედიაში გამოქვეყნებული მონაცემებით ფლობს, არათანმიმდევრულობით და გარკვეულ შემთხვევებში პირობების დუბლირებით ხასიათდება. სამუშაოების მახასიათებელს პროფესიული საანგარიშო დოკუმენტაციის სიმწირე და გარკვეულ შემთხვევებში ხელშეკრულებათა პირობებისგან აცდენა წარმოადგენს (იხ., დანართი).

მოხატული ტაძრების დროებითი გადახურვების საკითხის მოუგვარებლობა

გელათის მოხატული ტაძრების ერთიანი დროებითი გადახურვების მოწყობის მოთხოვნა მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის 44-ე სესიის დადგენილებაშია შეტანილი; ტაძრების ნალექისგან დამცავი და შეუფერხებელი მუშაობის პირობების შემქმნელი ერთიანი დროებითი გადახურვის საკითხი პრაქტიკულად ყველა, როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელი სპეციალისტის მოთხოვნას წარმოადგენს - ეს საკითხი აღნიშნულია გელათის სამუშაოებისთვის საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ მოწვეული უგო ტონიეტის, სარა სტეფანინის და ალესანდრო მასსარის ანგარიშებშიც[3]. მიუხედავად ამისა, საკითხი მოგვარებული არ არის.

მხატვრობის კონსერვაციის არასწორი დაგეგმვა და განხორციელება

გელათის მთავარი ტაძრის დასავლეთი მკლავის საკონსერვაციო და სარესტავრაციო სამუშაოები ეწინააღმდეგება ქართველი და უმაღლესი კვალიფიკაციის უცხოელი ექსპერტების მოსაზრებებსა და რეკომენდაციებს. ჩუბინაშვილის ცენტრის ექსპერტთა მიერ სხვადასხვა ფორმატით მრავალგზის

[3] Report on the Mission and Preliminary Suggestion on the Reasons for the Water Infiltration and the Initial Recommendations for the Protection from Water Infiltration, Mission carried out in Kutaisi (Georgia) at Gelati Monastery by Ugo Tonietti and Sara Stefanini, from June 25th until June 29th 2021, Lead authors: Ugo Tonietti and Sara Stefanini, belonging to Restruere Srl, Florence University spin-off, გვ. 46; Safeguarding and Conservation of Gelati Monastery. World Heritage Property, Georgia. Church of the Virgin. Investigations on the structural hygrometric and micro-environmental state aimed at safeguarding the internal wall paintings. Mission Arch. Alessandro Massari of: 06 – 12 November 2021, გვ. 36.

გამოთქმული მოსაზრებების გარდა, აღსანიშნავია არაერთი საგანგებო დოკუმენტი: ლიზა შეკედესა და სტივენ რიკერბის დასკვნა (15/09/2021)[4], რომელიც საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს თხოვნის საფუძველზე შესრულდა; საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოს მიერ მოწვეული ოსტინ ნევინის, სარა სტენიფორთის, ლორინდა ვონგის და ფრანჩესკა პიკეს მიერ მომზადებული დასკვნა (ვიზიტი, 1-2/05/2022)[5] და იკომოს საქართველოს მიერ მომზადებული დოკუმენტები (12/10/2020 და 20/11/2022)[6]. გადაწყვეტილების მიმღებთა მიერ არც ერთი ეს მოსაზრება არ ყოფილა გათვალისწინებული.

ცალკე აღნიშვნის ღირსია დასავლეთი მკლავის მხატვრობის სრული კონსერვაციის გადაწყვეტილება (დანართი, ხელშეკრულებები #12 და 14). რომ არაფერი ითქვას საერთაშორისოდ მიღებულ სტანდარტებზე, რაც გამორიცხავს არასტაბილურ გარემოში მხატვრობის სრული კონსერვაციის განხორციელებას, საყურადღებოა, რომ ხელშეკრულებების გაფორმების დროისთვის დარგის მესვეურთათვის ცნობილი იყო საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსა და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოს ინიცირებით მომზადებულ დასკვნებში გამოთქმული უკიდურესად კრიტიკული შეფასებები შერჩეული იტალიური ჯგუფის მეთოდოლოგიასა და მუშაობასთან დაკავშირებით.

პროფესიული ექსპერტიზის სრული უგულებელყოფის ილუსტრაციაა მთავარი ტაძრის დასავლეთ მკლავში მხატვრობის თვითნებური ტონირება-რესტავრაცია. არასტაბილურ გარემოში, მხატვრობის დაზიანების პროცესის აქტიური მიმდინარეობისას განხორციელებული ეს სამუშაო, მეთოდური კაზუსის გარდა, ჩვენთვის ხელმისაწვდომი დოკუმენტაციის მიხედვით, ხელშეკრულებების დარღვევასაც წარმოადგენს (დანართი, #12: ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ #1-178-22; და დანართი, #14: ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ #1-180-22): ხელშეკრულებებში შესყიდვის ობიექტად

[4] Comments on the Gelati Monastery Wall Painting Report, https://factcheck.ge/storage/media/other/2021-12-06/91116270-5667-11ec-b50c-27dd85398d03.pdf

[5] Report on the Safeguarding and Conservation of Gelati Monastery World Heritage Site Georgia, https://monitori.ge/uckhoeli-eqspertebis-daskvna-gelatze/?fbclid=IwAR0Z2QqUA-tYkxBwbvlSGZDyPCUzujvgTZLAu2ArFPW5BAjwrpUwJK9PN90

[6] ICOMOS საქართველოს კომენტარები „გელათის მონასტრის“ კონსერვაციულ მდგომარეობაზე, http://icomos.org.ge/ge/wp-content/uploads/ICOMOS-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D-%E1%83%92%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%97%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%98.pdf?fbclid=IwAR38Ah9zUpJvF7Hm6PTUGyUuOi4iFGGR7iRs1HZCZtN8bq2u6-qxiSLOePc; https://drive.google.com/file/d/1oetSM10Ee8c1GvTXffCqRT2XH4kOVuYw/view?fbclid=IwAR17HUWsLYSCz9goXtqF3USwP7G0ya32gNri2d4TGvKtlpA9MzWLswzkwSs

დასავლეთი მკლავის მხატვრობის „სრული კონსერვაცია“ არის განსაზღვრული და არა - სქემატური და ქრომატული აღდგენების სახით განხორციელებული რესტავრაცია.

სამუშაოთა ამსახველი დოკუმენტაციის დაბალი ხარისხი

მართვის პროცესიდან სამეცნიერო კომპონენტის გათიშვის შედეგია დარგის მესვეურთა მიერ გელათის მხატვრობაზე განხორციელებულ სამუშაოებთან დაკავშირებული დოკუმენტაციის უკრიტიკოდ მიღება, მიუხედავად იმისა, რომ უკიდურესად მწირი დოკუმენტაცია არ შეესაბამება თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებს[7]. დოკუმენტაცია გელათის მხატვრობის ტექნოლოგიისა და საკონსერვაციო მასალათა შესახებ ზოგადი მონაცემებით შემოიფარგლება; არ შეიცავს მხატვრობის სხვადასხვა ნაწილების შესრულების ტექნოლოგიებისა და კონკრეტული დაზიანებების თავისებურებების, ისევე, როგორც - გამოყენებული საკონსერვაციო მასალების შერჩევისა და კონკრეტულ შემთხვევებთან მათი თავსებადობის შესწავლის მონაცემებს და შესრულებული სამუშაოების დეტალურ აღწერილობას[8].

პროფესიული სტანდარტების ამგვარი უგულებელყოფა მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლზე კიდევ უფრო გაუგებარი და მიუღებელია იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში სამუშაოთა დაგეგმვის, წინასაკონსერვაციო კვლევისა და დოკუმენტაციის სათანადო კვალიფიკაციით შესრულების მაგალითი არცთუ შორეულ წარსულში იძებნება იმ პროექტის სახით, რომელიც 2012-2015 წლებში განხორციელდა ვარძიაში თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიისა და ლონდონის უნივერისიტეტის კურტოს ინსტიტუტის მონაწილეობით[9]. წარმატებული საერთაშორისო თანამშრომლობის პროფესიული გამოცდილების უგულებელყოფა მართვის სერიოზულ ხარვეზად უნდა შეფასდეს.

---

[7] ICOMOS Principles for the Preservation and Conservation-Restoration of Wall Paintings, 2003, https://www.icomos.org/en/what-we-do/focus/179-articles-en-francais/ressources/charters-and-standards/166-icomosprinciples-for-the-preservation-and-conservationrestoration-of-wall-paintings

[8] Report on the State of Conservation of the Gelati Monastery World Heritage Property, Georgia Mission of 22 – 28 June 2021; Conservation specialists of wall paintings: Mario Pulieri (Italy)-Vincenzo Centanni (Italy) TECNI.CO.R. s.n.c. - CENTANNI RESTAURI s.n.c; Vincenzo Centanni, Marco Pulieri, “Article on the Emergency Conservation-Restoration Intervention of the Frescoes of the Church of the Nativity, Gelati, Monastery”, September 2021.

[9] Vardzia Church of the Dormition Conservation of the Wall Paintings Project Data Concluding Phase Phase 4: 2015, Conservation of Wall Painting Department, The Courtauld Institute of Art, University of London *&* Faculty of Restoration and Art History, Tbilisi Ap. Kutateladze State Academy of Arts *for* The National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia.

2. გადახურვები

პრობლემის წინაისტორია

2008 წლიდან გელათში დაიწყო მასშტაბური საპროექტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები. მონასტრის ტერიტორიაზე მიმდინარე არქეოლოგიური გათხრებისას გამოვლენილი მასალის საფუძველზე ივარაუდება, რომ სამონასტრო ნაგებობების და, მათ შორის, დიდ ტაძარს თავდაპირველად მოჭიქული კრამიტის სახურავები უნდა ჰქონოდა. როგორც ჩანს, გვიან შუა საუკუნეებში კრამიტის სახურავის მოვლა უჭირდათ, ამიტომ იმერეთის მეფე სოლომონ I-მა 1770-1780-იან წლებში გელათის მთავარი ტაძარი რუსეთიდან საგანგებოდ ჩამოტანილი ლითონის ფურცლებით გადაბურა („საკუთრითა მონაგებითა თვისითა დახურა ახლად სრულიადი იგი ეკლესია რკინის ყავრულითა“). 1846 წელს გელათში სახურავები კვლავ თუნუქით განაახლეს. ასევე თუნუქისა იყო საბჭოთა პერიოდში გაკეთებული სახურავები, რომლებიც ბოლო დრომდე ბურავდა გელათის მონასტრის ნაგებობებს.

შესაბამისად კვლევისა გადაწყდა მოწყობილიყო მოჭიქული კრამიტის სახურავები, რაც განიხილებოდა მონასტრის მნიშვნელოვანი თავდაპირველი ელემენტის აღდგენად. თავიდან, მოჭიქული კრამიტით 2010-2011 წლებში დაიბურა მცირე ნაგებობები - სამრეკლო და წმ. ნიკოლოზის ეკლესია, შემდეგ წმ. გიორგის ეკლესიის გუმბათი და ბოლოს, 2016-2019 წლებში - დიდი ტაძარი.

არსებული მდგომარეობის შეფასება

დიდი ტაძრის გადასახურად გამოყენებული მოჭიქული კრამიტების (განსაკუთრებით თეთრი კრამიტების) დაბალი ხარისხი ექსპერტთა ანგარიშებში არაერთხელ აღინიშნა. კიდევ უარესი იყო კრამიტის დაგების და, მთლიანად, სახურავის მოწყობის მეთოდი და ხარისხი - სამუშაო არაკვალიფიციურმა ადამიანებმა შეასრულეს წინასწარი პროექტის გარეშე. სახურავში წყლის ჩაჟონვის მიზეზი გახდა არა მხოლოდ და არა იმდენად უხარისხო კრამიტი, რამდენადაც მისი არაპროფესიონალურად დაგება, არასწორად გაკეთებული ღარები, წყალსაწრეტები, კვანძები და შეერთებები კედლებთან. ტლანქად, დაუდევრად გაკეთებული საქმე ზედაპირული დათვალიერებითაც თვალსაჩინოა - კრამიტების გადაბმისა და მათი კედლებთან შეერთების ადგილებში უხვად არის გამოყენებული ავთენტურ მასალასთან არათავსებადი არაორგანული მასალები: სილიკონი, ქაფ-შემავსებელი, ცემენტი ან ცემენტისა და კირის ნაზავი. ბუნებრივია, ასეთი სახელდახელო საშუალებებით სახურავის მონოლითური ერთიანობა ვერ იქნებოდა უზრუნველყოფილი. შედეგად, რამდენიმე წლის მანძილზე ყოველი ძლიერი წვიმის დროს ათეულობით ლიტრი წყალი ხვდებოდა კედლებსა და კამარებში. ზოგჯერ წყალი გზას პოულობდა და თქრიალით

მოედინებოდა ინტერიერში (მაგალითად, სამხრეთ-დასავლეთ აფრიდან), უდიდესი ნაწილი კი შენობამ შეიწოვა, რამაც უმძიმესი გავლენა იქონია კედლის მხატვრობაზე.

მეთოდოლოგიური შეცდომა იყო კრამიტის სახურავის მოწყობა არა ხის ნივნივებზე, რომლებიც სხვენს ქმნის და შენობის თავისუფალი განიავების შესაძლებლობას იძლევა, არამედ ერთიან მყარ მასაზე, რომლითაც მთლიანად ამოივსო სივრცე კამარებსა და სახურავს შორის. ეს შემავსებელი მასა ტაძრის სხვადასხვა ნაწილზე სხვადასხვა მასალითაა (ცემენტის ქაფი, პემზა, სამშენებლო ნარჩენები და სხვა) შექმნილი[10] - თანაც ისე, რომ გადაწყვეტილებები თუ რა მასალა უნდა გამოეყენებინათ, მიიღებოდა გზადაგზა, სახელდახელოდ, წინასწარი პროექტის გარეშე (2021 წელს მოწვეულ ექსპერტებს უგო ტონიეტისა და სარა სტეფანინის სახურავის შემავსებელი მასალების დადგენა იქ მომუშავე ხელოსნის ზეპირი ინფორმაციის საფუძველზე მოუწიათ, სათანადო დოკუმენტაცია მათ ვერ მიაწოდეს[11]). წყლის ჩაჟონვის შემდეგ ბევრგან ეს მასალა თავადაც გაიჟღინთა და, კედლებთან ერთად, დიდი დამატებითი ნესტიანი მასა შექმნა. უგო ტონიეტისა და სარა სტეფანინის შეფასებით, ეს მასა ტაძარზე მოქმედებს როგორც „სველი საფარი“ („We have to imagine the under-roof acting, after infiltration, as a wet coat over a significant part of the Church“)[12].

სახურავის მოწყობისას თავის გადასაზღვევად აქტიურად იქნა გამოყენებული ჰიდროსაიზოლაციო მასალები (თხევადი იზოლატორის ფენა, ტოლი) - როგორც თვით სახურავზე, ისე კამარებზე[13]. წყლის ინფილტრაციისაგან მათ შენობა ვერ დაიცვეს, შემდეგ კი მისი გაშრობის შემაფერხებელ კიდევ ერთ ფაქტორად იქცნენ.

კრამიტის სახურავის არსებითი ნაკლია მისი არასაკმარისი გამოწევა კედლებიდან. სახურავი ტაძრის კარნიზის პირზეა მოწყობილი, რის გამოც კარნიზის ქვებს ეკლესიის მთელ პერიმეტრზე გარკვევით ეტყობა სახურავიდან ნაჟონი წყლის კვალი. დასავლეთი მკლავის ჩრდილოეთ კედელზე კრამიტის დეკორატიული ფრიზის ქვეშ კარნიზის ქვებს აშრევება აქვს დაწყებული. საცრემლეები ზოგან საერთოდ არ არის, ხოლო სადაც არის ბრტყელი კრამიტების შიგნითაა მოქცეული

[10] სახურავი ხის ნივნივებზე გაკეთებულია მხოლოდ ნართექსის ჩრდილოეთ მონაკვეთისა და ჩრდილოეთ კარიბჭის თავზე, მაგრამ აქაც სივრცე სახურავსა და კამარებს შორის ამოვსებულია ნაყარი ქვით, დეფექტური კრამიტებითა და პემზით. ასევე ხის კონსტრუქციაზე აქვს სახურავი გუმბათს.

[11] Ugo Tonietti and Sara Stefanini, Report on the Mission and Preliminary Suggestion on the Reasons for the Water Infiltration and the Initial Recommendations for the Protection from Water Infiltration, June, 2021, გვ. 4. იქვე მოტანილია ტაძრის სქემა ამ შემავსებელი მასალების მითითებით - გვ. 5, სურ. 1.

[12] იქვე, გვ. 40.

[13] ჰიდროიზოლაციის მასალების მიმოხილვისთვის იხ. Ugo Tonietti and Sara Stefanini, გვ.10; იქვე მოტანილია ტაძრის სქემა მათი სპეციფიკაციის მითითებით - გვ. 6, სურ. 2.

და თავის დანიშნულებას ვერ ასრულებს. აფრების გარე მოცულობებზე კარნიზის ქვები ბევრგან სახურავის გარეთ დარჩა და დროებითი სახურავის მოწყობამდე მუდმივად ზიანდებოდა წყლის ნაკადისგან.

კრამიტების დასამაგრებლად სახურავის ფერდებზე გამოყენებული იქნა ლურსმნები, რაც ჩვეულებრივი პრაქტიკაა და საქართველოს საეკლესიო მშენებლობაში სულ ცოტა მეათე საუკუნიდან არის ცნობილი (ხახული, ოშკი). სათანადო ყურადღება ხარისხს არც აქ მიექცა - ამჟამად ლურსმნები ბევრგან დაჟანგულია (კარგად ჩანს აფრების გარე მოცულობებზე).

2020 წლიდან გელათის მთავარი ტაძრის შენობა დაფარულია თუნუქის დროებითი სახურავით, რომელიც ზემოდან ადევს კრამიტებს. ის იცავს შენობას წყლის ინფილტრაციისაგან, მაგრამ აფერხებს კედლებისა და კამარების გაშრობის პროცესს. დროებითი სახურავის მოწყობისას განმეორდა იგივე შეცდომა, რაც იქნა დაშვებული კრამიტების დაგების დროს - ის საკმარისად არ არის გამოწეული კედლებიდან. თუნუქის სახურავის კიდე კრამიტის სახურავის კიდეზეა გასწორებული, რის გამოც კარნიზის დაზიანება ტაძრის მკლავებზე დღესაც გრძელდება.

ამჟამად კრამიტის სახურავი, შემავსებელი მასა (ქვის ნატეხები, დამტვრეული კრამიტები) და სახურავის მოსაწყობად დასხმული დაახლოებით 30 სმ სისქის ბეტონის ფილა მოხსნილია დასავლეთ მკლავის თავზე. სახურავის ახდა და მის ქვეშ სივრცის ამოსუფთავება არ მომხდარა წინასწარ შეთანხმებული პროექტის მიხედვით და არ დაფიქსირებულა ფენათა სტრატიგრაფია. ამოღებული შემავსებელი ფენა ფიქსაციის გარეშე იქნა გადაყრილი. კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტოს დასავლეთ საქართველოს მონიტორინგის სამსახურის თანამშრომლების თქმით, კამარის გასუფთავებისა და დროებითი გადახურვის მოწყობის პროცესის მონიტორინგი ყოველდღიურად მიმდინარეობდა და შესაბამისი ანგარიშები ინახება სააგენტოში.

დასავლეთი მკლავის გადახურვის გასუფთავებისას შემავსებელ მასაში აღმოჩნდა დამდნარი ტყვიის ფრაგმენტები. არქეოლოგ როლანდ ისაკაძის მოწმობით, გამდნარი ტყვია უხვად არის ჩალექილი კარნიზებსა და კამარის ბზარებში. ივარაუდება, რომ ის 1510 წელს თურქების მიერ ტაძრის გადაწვისას უნდა დამდნარიყო. თუ ასეა, ტყვია სახურავში საკმაოდ ადრინდელი ხანიდან გამოუყენებიათ, თუმცა მისი გამოყენების ფორმა და მიზანი ნათელი არ არის.

კრამიტებისა და მათი სუბსტრუქციის მოხსნის შემდეგ დასავლეთ მკლავზე გაკეთდა თუნუქის დროებითი სახურავი ხის ნივნივებზე. სახურავსა და ტაძრის კედლებს შორის სიცარიელე თუნუქისავე გოფრირებული ფურცლებით არის აჭედილი. თუნუქის ფურცლებში კამარასა და სახურავს შორის არსებული სივრცის განიავების მიზნით მცირე ზომის ხვრელებია მოწყობილი.

დროებითი სახურავის რამდენიმე წყალსაწრეტი მილი წყლის სახურავიდან გამართულად გადაყვანას ვერ უზრუნველყოფს, მით უფრო რომ ზოგიერთი უკვე დაზიანებულია და სახელდახელოდ ამოულესავთ.

ტაძრის სხვა ნაწილებზე კრამიტის სახურავი აღებული არ არის. სახურავის ნაწილობრივმა მოხსნამ გამოიწვია შენობის არათანაბარი გაშრობის პრობლემა. ტენის აორთქლება ამ მიმართულებით წარიმართა, რამაც დასავლეთი მკლავის კედლის მხატვრობას დამატებითი პრობლემები შეუქმნა (ვრცლად ამაზე იხ. ქვემოთ).

რეკომენდაციები

ა. რეკომენდაციები გადაუდებელი სამუშაოებისათვის

1. ჯერ კიდევ 2020 წლის ზაფხულში გ. ჩუბინაშვილის ცენტრმა მიმართა კულტურული მემკვიდრეობის ეროვნულ სააგენტოს წინადადებით გელათის მთავარი და წმ. გიორგის ტაძრებზე მოწყობილიყო მყარი დროებითი გადახურვა, რომელიც სრულად დაიცავდა მათ წყლის შემდგომი ინფილტრაციისაგან და ამასთან, შესაძლებლობას მისცემდა სპეციალისტებს ემუშავათ პრობლემის შესწავლაზე და მის აღმოფხვრაზე, არსებული კრამიტის სახურავისა და მისი საფუძვლის მოხსნის ჩათვლით. ეს წინადადება უარყოფილი იქნა. სააგენტოს სპეციალისტებმა ჩათვალეს, რომ ასეთი მასშტაბის დროებითი გადახურვის მოწყობა გელათისთვის დამახასიათებელი ძლიერი ქარების გათვალისწინებით რისკებთან იყო დაკავშირებული - თუ ქარი ამხელა ნაგებობას წააქცევდა, ის ტაძარს დიდ ზიანს მიაყენებდა.

სრული მყარი დროებითი გადახურვა კვლავაც უნდა განვიხილოთ გელათის დიდი ტაძრის დაცვის ყველაზე ეფექტურ საშუალებად. ზემოთაღნიშნული რისკის გათვალისწინებით, აუცილებელია დროებითი გადახურვა დააპროექტონ და ყველა ეტაპზე განახორციელონ უმაღლესი კვალიფიკაციის საერთაშორისო სპეციალისტებმა, რომელთაც აქვთ შესაბამისი გამოცდილება.

2. მიზანშეწონილია ანალოგიური ტიპის მყარი დროებითი გადახურვა მოეწყოს წმ. გიორგის ეკლესიაზეც. კედლის მხატვრობის მდგომარეობის გაუარესება (იხ. ქვემოთ) ცხადყოფს, რომ წლის ჩაჟონვა აქაც მოხდა და საჭიროა საგანგებო ღონისძიების გატარება.

3. მას შემდეგ, რაც საიმედო დროებითი სახურავი იქნება მოწყობილი, დიდ ტაძარზე მთლიანად უნდა იქნას აღებული დარჩენილი კრამიტები და სრულად ამოწმენდილი შემავსებელი მასა კამარებსა და სახურავს შორის. ეს სამუშაოები უნდა გაიწეროს შესაბამისი დარგების ექსპერტების (მათ შორის კლიმატოლოგის) დეტალური რეკომენდაციების საფუძველზე. არსებითია, რომ შენობა ერთიანად

განთავისუფლდეს სახურავისგან, რათა კედლებისა და კამარების გაშრობის პროცესი თანაბრად წარიმართოს და აღარ მოხდეს ანაორთქლი ნესტის კონცენტრაცია ცალკეულ ადგილებში, როგორც ახლა ხდება.

ბ. გრძელვადიანი რეკომენდაციები მომავალი სამუშაოებისათვის

1. გაშრობა ხანგრძლივი პროცესია. ა. ნევინის, ლ. ვონგის, ფ. პიკესა და ს. სტანიფორთის ანგარიშის მიხედვით, გელათის ტაძრის კედლების სრულ გაშრობას შეიძლება სამიდან ხუთ წლამდე დასჭირდეს, რადგან ემპირიული დაკვირვებებით შენობის ქსოვილის ყოველი 25 სმ-ის გაშრობას დაახლოებით ერთი წელი სჭირდება[14]. თუ როდის უნდა გაკეთდეს ახალი მუდმივი სახურავი, შეიძლება განისაზღვროს მხოლოდ პროცესებზე დაკვირვებისა და დამატებითი კვლევების შედეგად.

2. აუცილებელია სახურავი გაკეთდეს ხის ნივნივებზე. გელათის სპეციფიკური კლიმატის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია გაზიარებული იქნას კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მსოფლიო პრაქტიკაში მიღებული წესი და კრამიტის საბურველის ქვეშ მოეწყოს თუნუქის სახურავი. ასეთ დროს ფუნქციური არის თუნუქი, ხოლო მასზე დაგებულ კრამიტს ძირითადად დეკორატიული დანიშნულება აქვს. შესაძლოა რაღაც მსგავსი სისტემა აქ უკვე შუა საუკუნეებში არსებობდა - ეგებ ამას ემსახურებოდა ტყვიის ფურცლები, რომელთა დამდნარი ნაშთებიც აღმოჩნდა დასავლეთი მკლავის თავზე.

3. თუ ეკლესია კრამიტით გადაიხურება, აუცილებელია კრამიტის დასამაგრებლად გამოყენებული იქნას უჟანგავი ფოლადის ლურსმნები. დამხმარე მასალები, რომელთაც უნდა უზრუნველჰყონ სახურავის მონოლითური ერთიანობა, უნდა შეირჩეს განსაკუთრებული სიფრთხილით, როგორც მათი ტექნიკური თვისებების, ისე კულტურულ-ისტორიული და ესთეტიკური ფაქტორების გათვალისწინებით.

4. საგანგებო ყურადღება უნდა მიექცეს წყლის გადაყვანის/არიდების სისტემებს. მათ დაგეგმვას და შესრულებას კვალიფიციური სპეციალისტები სჭირდება. ამ სისტემების გაუმართაობამ ამჟამინდელი პრობლემების შექმნაში დიდი როლი შეასრულა.

[14] იქვე.

3. მოხატულობები

ასოციაცია ჯოვანი სეკო სუარდოს (Associazione Giovanni Secco Suardo) რესტავრატორთა (მარიო პულიერი, ვინჩენცო ჩენტანი, იტალია) მიერ შემოთავაზებული მოხატულობათა კონსერვაციის მეთოდოლოგია და მის საფუძველზე ჩატარებული სამუშაოები უკიდურესად ნეგატიურად არის შეფასებული ადგილობრივი და მეტად ავტორიტეტული უცხოელი ექსპერტების მიერ[15].

ექსპერტთა დასკვნებით, გელათის მხატვრობა მაღალი ტენიანობისა და სხვადასხვა ტიპის მარილების ზემოქმედების შედეგად, აქტიური დაზიანებისა და ავთენტური მოხატულობების მზარდი დანაკარგების მიმდინარე პროცესშია. შემოთავაზებული მეთოდოლოგია არ ეფუძნება სათანადო კვლევას, არ არის ჯეროვნად დასაბუთებული და არგუმენტირებული და არ შეესაბამება სხვადასხვა დროის, განსხვავებული ტექნოლოგიით შესრულებული, წყლის მასშტაბური ინფილტრაციით დაზიანებული და კრიტიკულად მძიმე მდგომარეობაში არსებული მოხატულობების სპეციფიკას, იგი მეტად დაშორებულია საერთაშორისო სტანდარტებს. არასტაბილურ გარემოში (ნესტი, ტემპერატურა), მცდარი მეთოდოლოგიით, ორიგინალთან არათავსებადი მასალების გამოყენებით განხორციელებული ჩარევები ექსპერტთა მიერ შეფასებულია როგორც „შემაშფოთებელი“.

ავტორიტეტული უცხოელი ექსპერტების დასკვნები უკიდურესად კრიტიკული შეფასებების გარდა, მკაფიო რეკომენდაციებსაც შეიცავს. მსოფლიოს წამყვანი ექსპერტების აზრით, მოხატულობის მდგომარეობის მეტი დამძიმებისა და დამატებითი დაზიანების თავიდან ასაცილებლად, იტალიური ჯგუფის შემოთავაზებებისა და დასახული გეგმის დაუყოვნებლივ შეცვლა იყო საჭირო[16].

ექსპერტთა მიერ პირველი რიგის ამოცანად დასახელებული იქნა მაღალი ტენიანობის პრობლემის მოგვარება და ტაძრის ინტერიერის ხანგრძლივი და თანაბარი გამოშრობა, მოხატულობის მუდმივი მონიტორინგის თანხლებით და უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში გადაუდებელი ჩარევების განხორციელება. სრულიად მკაფიოდ იქნა გაცემული რეკომენდაცია მოხატულობის სრული კონსერვაციის შესაძლებლობის შესახებ მხოლოდ ტაძრის სრული გამოშრობის შემდეგ.

[15] იხ. შენიშვნები 4,5,6.
[16] იხ., შენიშვნები 4,5.

მსოფლიოს სხვადასხვა საკონსერვაციო სკოლის წარმომადგენელი ცნობილი ექსპერტების აზრის გაუთვალისწინებლობა სრულიად უცხოა პროფესიული ეთიკისა და დარგის თანამედროვე საერთაშორისო პრაქტიკისათვის.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ ჯოვანი სეკო სუარდოსთან და შპს ცხრაკარასთან გაფორმებული ხელშეკრულებებით (დანართი, #12 და 14) დადასტურებული გადაწყვეტილება მხატვრობის სრული კონსერვაციის თაობაზე, მით უფრო გაუგებარია, რომ მთავარი ტაძრის ექსტერიერისა და ინტერიერის არსებითად ყველა მონაკვეთში, როგორც კედლების ზედაპირზე, ისე მათ სიღრმეში, მაღალი ტენიანობის, შესაბამისად კი დიდი კონცენტრაციით სხვადასხვა ტიპის მარილების არსებობას, ასევე, სახურავზე კრამიტისა და საიზოლაციო ფენების ქვეშ წყლის მაღალ შემცველობას ადასტურებდა კლიმატოლოგი ალესანდრო მასსარიც, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ დაქირავებული იტალიური ჯგუფის წევრი,. მდგომარეობის დასტაბილურების აუცილებელ პირობად ისიც გადახურვის გამოცვლას, ანუ სახურავებში დაგროვებული წყლის აორთქლებისა და აერაციისთვის, შესაბამისად კი, ინტერიერისა და ექსტერიერის თანმიმდევრული შრობისა და მიკროკლიმატის შენარჩუნებისთვის შესაბამისი პირობების შექმნას მიიჩნევდა[17].

ჩუბინაშვილის ცენტრის თანამშრომელთა მიერ გელათის მოხატულობების ვიზუალურმა დათვალიერებამაც ცხადყო წარმოებული სამუშაოების მეთოდოლოგიური გაუმართაობა და მათი ფუნდამენტური კორექტირების აუცილებლობა. ახლაც, მოხატულობების ხარაჩოდან დათვალიერების შემდეგ, სრულად ვიზიარებთ რიკერბი-შეკედეს, ნევინი-ვონგი-სტენიფორთი-პიკესა და საქართველოს იკომოსის დასკვნებს[18].

მთავარი ტაძრის დასავლეთი მკლავი

სრული კონსერვაციის შემდგომი მდგომარეობა

საგანგებოდ უნდა გამოიყოს მოხატულობის დაზიანების აქტიური კერები დასავლეთ მკლავში - ანუ, იქ, სადაც იტალიურ-ქართული ჯგუფის მიერ რამდენიმე თვის წინ უკვე განხორციელდა სრული კონსერვაცია. ვადასტურებთ საქართველოს საქართველოს საპატრიარქოს მიერ გელათის სამონასტრო კომპლექსში 2022 წლის 31 ოქტომბერს ორგანიზებული საველე ვიზიტის ფარგლებში საქართველოს იკომოსის ექსპერტთა მომზადებული ანგარიშის დებულებებს იმის თაობაზე, რომ მთავარი ტაძრის დასავლეთი მკლავის კედლის

[17] იხ., შენიშვნა 3, Safeguarding and Conservation, გვ. 37-40.
[18] იხ., შენიშვნები 4,5,6.

მხატვრობის ამჟამინდელი მდგომარეობა კვლავ არასტაბილურია, ვინაიდან მარილების დაშლა-კრისტალიზაციის პროცესი მიმდინარეა, რასაც თან ახლავს, 2020-2021 წლებში, გამაგრებულ მონაკვეთებზე აქერცვლისა და გაფხვიერების ხელახალი პროცესი და ავთენტური ნაწილების დანაკარგები[19].

საკონსერვაციო სამუშაოების დასრულების შემდეგ მარილის კრისტალიზაციის, ფერწერული ფენის აქერცვლისა და ცვენის, თუ ბათქაშის დაშლის პროცესის თვალსაჩინოებისა და სისწრაფის გათვალისწინებით, გელათის მთავარი ტაძრის დასავლეთი მკლავის მოხატულობა შესაძლოა მეთოდოლოგიურ თვალსაჩინოებადაც კი იქცეს იმის საილუსტრაციოდ, თუ რა შედეგი მოაქვს არასწორი მეთოდოლოგიით განხორციელებულ კონსერვაციას. ჩამოთვლილი მძიმე დაზიანების მაგალითი დასავლეთ მკლავში არაერთია, ფერწერული ფენის აქერცლილი მონაკვეთები არაერთგან არის უკვე სრულად მოცილებული საფუძველს და ცვივა, ბათქაშის ფენა ალაგ ამოტეხილია, ალაგ ისეა გაფხვიერებული, რომ შემავსებლად გამოყენებული ნამჯა ზედაპირზეა ამოსული და ცვივა (მაგ., კამარის სამხრეთ ფერდზე, ფერხთაბანის სცენის აღმოსავლეთი მონაკვეთი)

ტონირება-რესტავრაცია

როგორც უკიდურესად შემაშფოთებელი მეთოდოლოგიური დარღვევა, საგანგებოდ უნდა გამოიყოს შემსრულებელთა მიერ დასავლეთ მკლავში ფართოდ გამოყენებული ტონირება-რესტავრაცია - მიდგომა, რომელიც პრინციპულად ეწინააღმდეგება უმაღლეს საერთაშორისო სტანდარტებს და საქართველოში მიღებულ და გაზიარებულ პრინციპებს, რასაც კედლის მხატვრობის ქართული საკონსერვაციო და ხელოვნების ისტორიის ქართული სკოლები დაფუძნების დღიდან ურყევად იზიარებს და მისდევს[20].

სქემატური და ქრომატული აღდგენები, ფართოდ არის გამოყენებული არა მხოლოდ შევსებებზე, არამედ - ორიგინალ ნალესობაზე და დასავლეთი მკლავის მხატვრობის გამშვენება-გადარჩენის ილუზიას ქმნის. კამარის ჩრდილოეთ ფერდზე არსებული ადრეული მხატვრობის ფრაგმენტი, რომელიც სცენის „ქრისტე კაიაფას წინაშე“ დაზიანებული ნაწილის ქვემოდან ჩანს, რესტავრატორთა

[19] იხ.შენიშვნა 6, ანგარიში „გელათის მონასტრის“ კონსერვაციულ მდგომარეობაზე 2022 წლის 31 ოქტომბერს საველე ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული კედლის მხატვრობის მონიტორინგის შედეგები.

[20] ICOMOS Principles for the Preservation and Conservation-Restoration of Wall Paintings, 2003, https://www.icomos.org/en/what-we-do/focus/179-articles-en-francais/ressources/charters-and-standards/166-icomosprinciples-for-the-preservation-and-conservationrestoration-of-wall-paintings

ინტერპრეტაციით, მათი გემოვნების მიხედვით გამოსახულების ინტენსივობის გაზრდის გზით არის „წარმოჩენილ-პრეზენტირებული“.

გელათში გამოყენებული მიდგომა - ორიგინალ ბათქაშზე რესტავრატორების ჩარევა, მათ მიერ ინტერპრეტირებული რეალობით ისტორიული რეალობის ჩანაცვლება - არსებითად, მხატვრობის ფალსიფიკაციას წარმოადგენს და აზიანებს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის სახეს.

მდგომარეობას ამძიმებს ის, რომ დასავლეთი მკლავის მხატვრობის ავთენტური სახის შემლახავი ჩარევები პროფესიული წრისგან მალულად შესრულდა - მას არ გაუვლია პროფესიული შეფასების, რეცენზირების თუ დამტკიცების არც ერთი რგოლი (ძეგლთა დაცვის სისტემაში საბჭოთა დროიდან მოყოლებული გარკვეული ვარიაციებით მუდამ არსებული პროფესიული რგოლები, რომლებიც მხატვრობის სამეცნიერო მეთოდოლოგიის შეფასებას ახდენდა, ამჟამად გაუქმებულია). შესრულებული სამუშაოების შესახებ ხელმისაწვდომი დოკუმენტაცია არ არსებობს, არსებულ ანგარიშში სარესტავრაციო ჩარევებზე არაფერია ნათქვამი[21]. არსად გავრცელებულა ოფიციალური ინფორმაცია. გელათის მოხატულობებთან დაკავშირებით, დარგის მესვეურთა უკლებლივ ყველა განცხადებაში მხოლოდ გადაუდებელი ღონისძიებებზეა საუბარი. არათუ რესტავრაცია-რეკონსტრუქციის, არამედ სრული კონსერვაციის შესახებაც კი არსად გაკეთებულა განცხადება. საყურადღებოა, რომ სამუშაოების შესახებ ინფორმაცია არც ხელშეკრულებათა ტექსტებშია შეტანილი, ხელშეკრულებებში შესყიდვის ობიექტად დასავლეთი მკლავის მხატვრობის „სრული კონსერვაცია“ არის განსაზღვრული და არა - რესტავრაცია, რომელიც სქემატური და ქრომატული აღდგენების სახით არის განხორციელებული (დანართი, ხელშეკრულებები #12 და 14)

ამგვარი თვითნებობა, ცალკეულ რესტავრატორთა გემოვნებას დაფუძნებული მხატვრული ინტერპრეტაციები, არა მხოლოდ მოხატულობის, ავთენტური სახის შელახვას და საერთაშორისო სტანდარტების დარღვევას წარმოადგენს, არამედ პროფესიულ ეთიკასაც უხეშად არღვევს.

მდგომარეობას ამძიმებს ის, რომ სამუშაოები არასტაბილურ გარემოსა და მხატვრობის მიმდინარე აქტიური დაზიანებების პირობებშია შესრულებული. ნიშანდობლივია, რომ დაზიანებების აქტივიზაციის პროცესი, მარილის კრისტალიზაციის, ფერწერული ფენის გაფხვიერებისა თუ აქერცვლის სახით, სამუშაოების შესრულებიდან რამდენიმე თვის შემდეგ უკვე თვალსაჩინოა მოხატულობის აღდგენილ მონაკვეთებთან.

[21] იხ., შენიშვნა 8, Vincenzo Centanni, Marco Pulieri, “Article on the Emergency Conservation-Restoration Intervention“.

საბოლოოდ, გელათის მოხატულობის კონსერვაციისა და რესტავრაციის შედეგები სავალალოდ და უკიდურესად შემაშფოთებლად უნდა შეფასდეს - მით უფრო, რომ ეჭვს არ იწვევს, დროთა განმავლობაში, არასწორი მეთოდოლოგიით წარმართული საკონსერვაციო და სარესტავრაციო სამუშაოების ნეგატიური ეფექტის გაძლიერება, მით უფრო - დღემდე მოუგვარებელი გადახურვის საკითხის ფონზე. რეაბილიტირებული კრამიტის სახურავის ქვეშ აკუმულირებული ნესტი მოხატულობებისთვის დაზიანების მუდმივ წყაროს წარმოადგენს, მხოლოდ დასავლეთი მკლავის თავზე გამართული სეგმენტური დროებითი სახურავი კი სტრუქტურაში წყლის მიგრაციის დამატებით პირობას ქმნის.

სხვა მოხატული სივრცეები, საკურთხევლის მოზაიკა

კიდევ ერთხელ უნდა გაესვას ხაზი იმ მეთოდოლოგიურ დარღვევას, რაც გულისხმობს ბოლო პერიოდის მთელი რესურსის დასავლეთი მკლავის მხატვრობაზე დაუსაბუთებელი, სათანადო კვლევისა და ტესტირების გარეშე ჩატარებული, მისი მხატვრობის ფიზიკურადაც და ავთენტური სახისთვისაც დამაზიანებელი სამუშაოებისთვის მოხმარებას.

მონიტორინგის საგანი არ გამხდარა არათუ წმინდა გიორგის ეკლესია, ანდა მთავარი ტაძრის ნართექსი და ეგვტერები, არამედ - იქვე, ფიზიკური სამუშაოების სიახლოვეს მდებარე, ჩრდილოეთი და სამხრეთი მკლავების ზედა მონაკვეთები და საკურთხევლის კონქი. არადა, საფუძველს ნალესობიანად, მსხვილ მონაკვეთებადაა მოცილებული ფერწერული ფენა დასავლეთისა და ჩრდილოეთის თაღებზე, სადაც მარილის კოლონიებად კრისტალიზაცია და გუნდებად ნაფიფქი გამომარილების აქტიურ მიმდინარეობას მიუთითებს. ფერწერიანი ბათქაშის ჩამოცვენილი ნატეხების საკმაო რაოდენობაა პატრონიკეს ნიშაში; მარილის კრისტალიზაცია ფერწერული ფენისა აქერცვლა და ბათქაშის დაშლის თუ საფუძვლიდან მოცილების პროცესი თვალსაჩინოა ჩრდილოეთი მკლავის კამარის („ლაზარეს აღდგინება“, „მირქმა“) და სამხრეთი მკლავის კამარის („ნათლისღება“, „ხარება“) მონაკვეთებზე და სხვ.

ბიოლოგიური დაზიანების გააქტიურება იატაკის დონიდან ვიზუალური დათვალიერებით ჩანს მთავარი ტაძრის ნართექსში; თვალსაჩინოა კედლიდან ნალესობის ფენის მოზრდილი მონაკვეთის დაცილება წმინდა მარინეს ჩრდილო-დასავლეთი ეგვტერის დასავლეთი კედლის ჩრდილოეთის მონაკვეთში; საფუძვლიდან ნალესობის ფენის დაცილება და გაფხვიერება მკაფიოა წმინდა გიორგის ტაძრის კამარების, აფრების და კედლების ზედა ნაწილების არაერთ მონაკვეთზე.

მთავარი ტაძრისა და წმინდა გიორგი ეკლესიის მოხატულის სივრცეებისადმი გამოჩენილი უგულისყურობა მით უფრო აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 2021 წლის 4 სექტემბრის მონიტორინგის ანგარიშში აღინიშნა, რომ: ***„ღვთისმშობლის შობისა და წმინდა გიორგის ეკლესიების კედლის მხატვრობების მდგომარეობა ლოკალურ მონაკვეთებში კრიტიკულად არასტაბილურია. წყლის ინფილტრაციისა და არასტაბილური გარემო პირობების (ტემპერატურა, ტენიანობა) გამო, მდგომარეობის გაუარესების პროცესი მიმდინარეა და ორივე ტაძრის სხვადასხვა მონაკვეთებში ფიქსირდება როგორც ფერწერული ფენის, ასევე ნალესობის ფრაგმენტების ჩამოცვენის მუდმივი პროცესი“***[22].

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს მთავარი ტაძრის კონქის მოზაიკა, რომელსაც საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მონიტორინგის ჯგუფის 2020 წლის მაის-ივნისის ანგარიშით, 2017 წლის მდგომარეობასთან შედარებით თვალით ხილული სხვაობა არ აღენიშნებოდა[23]. სადღეისოდ, ცვლილებები უკვე თვალსაჩინოა. დაზიანების დინამიკა მე-12 საუკუნეში შესრულებული ღვთისმშობლის ფიგურის სახესა და ყელზე ისტორიული ფერწერული რესტავრაციის ადგილების (სავარაუდოდ, მე-16 ს.) მკაფიო ლაქებად გამოთეთრება-გამორეცხვაში, და მოზაიკური ფონზე გამოთეთრების (სავარაუდო გამომარილების) ლაქების მატებაში ჩანს.

2021 წლის ბოლოს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ რესტავრატორ მერაბ ბუჩუკურთან და მისი გუნდის წევრებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში გაფართოებული კვლევის, ფოტოდოკუმენტირებისა და ტექნიკური ანგარიშის მომზადების ობიექტად, კედლის მხატვრობასთან ერთად, დასახელებულია მოზაიკაც (01/11/2021-17/12/2021, ხელშეკრ., N 3/366, 3/367, 3/368. 3/369/ 3/370). შესრულებული სამუშაოების დოკუმენტაცია ხელმისაწვდომი არ არის. 2022 წლის 9 ოქტომბერს, ღვთისმშობლის სახის დაზიანების შესახებ ინფორმაციის გავრცელების პასუხად, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში აღინიშნა, რომ 2021 წლის მონიტორინგს მოზაიკის დაზიანება არ გამოუვლენია; ისტორიული შეკეთებების დაზიანება უმნიშვნელოდ იქნა მიჩნეული; ითქვა, რომ მოზაიკის მდგომარეობის ზუსტი შეფასება ხარაჩოს გარეშე შეუძლებელია. მიუხედავად ამისა, მოზაიკის მდგომარეობის მონიტორინგისთვის ხარაჩო არ გამართულა.

---

[22] გელათის სამონასტრო კომპლექსის ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძრის კედლის მხატვრობის მდგომარეობის ანგარიში, 4 სექტემბერი, 2021, გვ. 16.

[23] საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს სამუშაო ჯგუფის მივლინება მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლზე „გელათის მონასტერი“, 16-19 ივნისი, 2020წ, გვ. 23-25.

უნდა ითქვას, რომ მოზაიკასთან დაკავშირებული ვითარების პროგნოზირება, დაზიანების გათვალსაჩინოებამდეც არ იყო რთული, რადგან რეაბილიტირებული გადახურვების მოწყობის პრობლემები საკურთხეველსაც ისევე აქვს, როგორც მთავარი ტაძრის მთელ სტრუქტურას და წმინდა გიორგის ტაძარს. დამატებითი პრობლემა კი ისაა, რომ საკურთხევლის, ანუ მოზაიკის განთავსების ადგილის, გადახურვის რეაბილიტაციისას, ისევე, როგორც დასავლეთი და ჩრდილოეთი მკლავების შემთხვევაში, არ იქნა გამოყენებული საიზოლაციო ფენა, რაც გახდა კიდეც სავარაუდოდ, წყლის განსაკუთრებულად დიდი რაოდენობით სწრაფი ინფილტრაციისა და მხატვრობის მასშტაბური დაზიანების დამატებითი მიზეზი ორსავ მკლავში[24].

ცხადია, ზემოხსენებული საკითხები სრულად ვერ მოიცავს გელათის მოხატულობებთან დაკავშირებულ პრობლემატიკას და არც ერთჯერადი ვიზიტი იყო საკმარისი მდგომარეობის დეტალურად აღნუსხვისთვის. თუმცა, სურათი ეჭვს არ იწვევს. საკმარისად ცხადია ისიც, რომ პროცესების არსებული განვითარების შენარჩუნების შემთხვევაში, ქართული სულიერი და მატერიალური მემკვიდრეობის ამ უნიკალური საგანძურის განადგურების პერსპექტივა აბსოლუტურად რეალურია.

[24] იქვე, გვ. 6-9.

დასკვნა

გელათის მოხატულ ტაძრებთან დაკავშირებული კრიზისი, რომელიც არაერთი წელია გრძელდება, მიუხედავად სახელმწიფო სტრუქტურების მცდელობებისა, კვლავაც მოუგვარებელ პრობლემად რჩება. მეტიც, წარსულში წლების მანძილზე განვითარებული მოვლენები და დარგის მესვეურთა მხრიდან ბოლო ორი წლის მანძილზე მდგომარეობის გამოსწორების მიზნით განხორციელებული ქმედებები ცხადად მიუთითებს ფუნდამენტური სისტემური განახლების აუცილებლობას.

გადაწყვეტილებებისა და შეფასების პროცესიდან სამეცნიერო კომპონენტის გათიშვა, ერთიანი გეგმის, ვითარების გააზრების და მწყობრი მეთოდოლოგიის გარეშე, მწირი კვლევითი და საანგარიშო დოკუმენტაციით წარმართული ფიზიკური სამუშაოები ცხადად აჩვენებს, რომ მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის „გელათის მონასტერი“ მართვის ხარისხი შორს არის თანამედროვე საერთაშორისო მოთხოვნებისგან.

მთავარი ტაძრის დასავლეთი მკლავის მხატვრობის არასწორი კონსერვაცია, რომელსაც მოხატულობის დაზიანების პროცესის აქტივიზაცია მოყვა და თვითნებური ტონირება-რესტავრაცია, რომელიც მხატვრობის ავთენტურობის დარღვევას წარმოადგენს, სცილდება პროფესიულ ეთიკისა და საერთაშორისო სტანდარტების ნორმებს.

მდგომარეობის გამოსასწორებლად აუცილებელია დარგის მესვეურთა მიერ უგულებელყოფილი მაღალკვალიფიციური ექსპერტების რეკომენდაციების შესრულება: გელათის ტაძრების მოხატულობებისა და სტრუქტურებისთვის უსაფრთხო და გრძელვადიანი მუშაობისთვის შესაბამისი გარემოს უზრუნველმყოფი ერთიანი დროებითი გადახურვის მოწყობა; ყველა სივრცეში გარემო პირობებისა და მოხატულობების უწყვეტი მონიტორინგი; აუცილებლობის შემთხვევაში, დასაბუთებული, ანალიზს დაფუძნებული და კონკრეტული ვითარების შესაბამისი მეთოდოლოგიისა და მასალების გამოყენებით შესრულებული გადაუდებელი ფიზიკური სამუშაოები; კონსერვაციის გეგმის შემუშავება და მასზე დაყრდნობით შემდგომი სამუშაოების ეტაპობრივი განხორციელება.

გადაუდებელ აუცილებლობად გვესახება გელათის ძეგლის მართვისა და კონსერვაციის პრობლემების ანალიზის საფუძველზე მკაფიო გადაწყვეტილებების ინიცირება და მიღება; პროცესების არსებითი კორექტირება თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების კვალად და მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლთა მართვის თანამედროვე სტანდარტების დანერგვა.

დანართი

ბოლო ეტაპის ხელმისაწვდომი ხელშეკრულებების ნუსხა:

1. 09/06*/2021- 21/ 07/2021* Associazione Giovanni Secco Suardo

კედლის მხატვრობის სტაბილურობისა და უსაფრთხოებისთვის განსახორციელებელი ქმედებებისა და მეთოდური რეკომენდაციების შემუშავება.

2. *21/ 06/2021 — 02/ 08/2021* ReStruere LTD

ტაძარში წყლის შეღწევის მიზეზების გამოვლენა და საკონსერვაციო მდგომარეობის გასაუმჯობესებლად რეკომენდაციების შემუშავება

3. *09/07 2021 — 21/07 2021* Associazione Giovanni Secco Suardo

კედლის მხატვრობის ორიგინალი ტექნოლოგიისა და მდგომარეობის გამოსარკვევად აღებული 23 სინჯის ანალიზი და ინტერპრეტაცია

4. *14/09/2021 — 22/10/2021* Associazione Giovanni Secco Suardo

კედლის მხატვრობის გადაუდებლად არასტაბილური არეალების სატესტო გამაგრებების განხორციელება

5. *26/10/2021 — 23/12/ 2021* Associazione Giovanni Secco Suardo

1. ტაძარში ტენიანობის მდგომარეობის შესწავლა, მიკროკლიმატის გასაუმჯობესებლად შესაძლო ჩარევების დადგენა 2. ტაძრის კედლის მხატვრობის მდგომარეობის შეფასება და შესაბამისი გამოსასწორებელი ქმედებების შემუშავება; გადაუდებლად არასტაბილური არეალების სატესტო გამაგრებების განხორციელება

6. *01/11/2021 — 17/12/2021* **რესტავრატორი მერაბ ბუჩუკური და მისი გუნდი**

კედლის მხატვრობისა და მოზაიკის მდგომარეობის შეფასება და საჭიროების შემთხვევაში გადაუდებელი საკონსერვაციო სამუშაოების განხორციელება

7. *14/01/2022 — 31/01/ 2022* ReStruere LTD

2021 წლის ივნისში აღებული ნიმუშების ანალიზი და სამეცნიერო ანგარიშის მომზადება.

8. *26/04/2022 — 01/07/ 2022* ReStruere LTD

კონსერვაციის სტრატეგიის შემუშავება, წყლის ჩასვლის შედეგად გაჩენილი პრობლემების მოგვარება და ძეგლის კონსერვაციის მდგომარეობის გაუმჯობესება

9. *03/05/ 2022 — 14/07/2022* **შპს "კაპიტელინჟინერინგი"**

ტაძრის დასავლეთი მკლავის თუნუქის დროებითი გადახურვის, მოჭიქული კრამიტისა და კირ-დუღაბის ფენების მოხსნა. თუნუქის დროებითი გადახურვის მოწყობა

10. *04/05/2022 — 05/07/2022 რესტავრატორი მერაბ* ბუჩუკური და მისი გუნდი

დასავლეთი მკლავის ძველი საფარის მოხსნისა და ახალი დროებითი გადახურვის მოწყობისას კედლის მხატვრობის მონიტორინგი; საჭიროების შემთხვევაში, კრიტიკულად არასტაბილურ არეალებზე გადაუდებელი საკონსერვაციო ჩარევების განხორციელება

11. *21/05/2022 — 25/07/2022* Associazione Giovanni Secco Suardo

დასავლეთი მკლავის ძველი საფარის მოხსნისა და ახალი დროებითი გადახურვის მოწყობის პროცესში კედლის მხატვრობის მონიტორინგი

12. *28/07/2022 — 30/11/2022* Associazione Giovanni Secco Suardo

დასავლეთი მკლავის მხატვრობის სრული კონსერვაცია, კამარის ტენიანობის მდგომარეობის შემოწმება

13. *28/07/2022 — 14/05/2023* ReStruere LTD

საბოლოო სამუშაოების განსახორციელებლად საჭირო დროებითი ანგარის სტრუქტურასთან დაკავშირებით საკონსულტაციო მომსახურება და გადახურვის სამუშაოების ზედამხედველობა

14. *05/08/2022 — 05/12/ 2022* შპს ცხრაკარა- ბესარიონ ბუჩუკური

დასავლეთი მკლავის კამარის კედლის მხატვრობის სრული კონსერვაცია და დროებითი ანგარის სტრუქტურასთან დაკავშირებით საკონსულტაციო მომსახურების გაწევა.

ტაბულები

1. სილიკონის გამოყენება კრამიტების გადაბმის ადგილზე

2. ჟანგიანი ლურსმანი

3. ნაჟონი წყლის კვალი კარნიზის ქვებზე

4. კარნიზის პირზე მოწყობილი სახურავი

5. კარნიზის აშრევებული ქვა

6. ამოსუფთავებული დასავლეთი მკლავი

7. ამოსუფთავებული დასავლეთი მკლავი

8. პემზა ნართექსის ჩრდილო-დასავლეთი კუთხის თავზე

8. დროებითი გადახურვა ქაფ-შემავსებლით

10. არასწორად მოწყობილი საცრემლეები



11. მთავარი ტაძარი, დასავლეთი მკლავის კამარის სამხრეთი ფერდი, ფერხთაბანა. მდგომარეობა სრული კონსერვაციის შემდგომ

12-13. ფერხთაბანა, სცენის ფრაგმენტი, მდგომარეობა სრული კონსერვაციის შემდგომ. გამომარილება და ფერწერული ფენის განშრევება

14. დასავლეთი მკლავის კამარის სამხრეთი ფერდი, მდგომარეობა სრული კონსერვაციის შემდგომ. გამომარილება, ნალესობის გაფხვიერება და განშრევება

15. დასავლეთი მკლავის კამარის სამხრეთი ფერდი, მდგომარეობა სრული კონსერვაციის შემდგომ. ნალესობის გაფხვიერება, ამოტეხვა



16. მთავარი ტაძარი, დასავლეთი მკლავის კამარის ჩრდილოეთი ფერდი, ქრისტე კაიაფას წინაშე და მხატვრობის ქვედა ფენის ფრაგმენტი სრული კონსერვაციის და ტონირება-რესტავრაციის შემდგომ



17. დასავლეთი მკლავის კამარის ჩრდილოეთი ფერდი, ქრისტე კაიაფას წინაშე და მხატვრობის ქვედა ფენის ფრაგმენტი, ფერწერული ფენის მდგომარეობა სრული კონსერვაციის და ტონირება-რესტავრაციის შემდგომ

18-19. დასავლეთი მკლავის კამარის ჩრდილოეთი ფერდი, ფერწერული ფენის მდგომარეობა სრული კონსერვაციის და ტონირება-რესტავრაციის შემდგომ, გამომარილება და ფერწერული ფენის აქერცვლა

20. ჩრდილოეთი თაღი, ფერწერული ფენის და ნალესობის გაფხვიერება და განშრევება

21. ჩრდილოეთი თაღი, მარილის ნაფიფქი და კრისტალიზაცია, ფერწერული ფენის გაფხვიერება



22-23. ჩრდილოეთი მკლავის კამარის აღმოსავლეთი ფერდი, ლაზარეს აღდგინება, ფერწერული ფენის აქერცვლა და განშრევება

24. ჩრდილოეთი მკლავის კამარის აღმოსავლეთი ფერდი, გამომარილება, განშრევება და გაფხვიერება

25. დასავლეთი მკლავი, პატრონიკეს ნიშა, მხატვრობის ჩამოყრილი ფრაგმენტები

6. მთავარი ტაძრის საკურთხევლის კონქის მოზაიკა, 2020 წლის 22 მაისი (ფოტო საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ანგარიშიდან)

27. მთავარი ტაძრის საკურთხევლის კონქის მოზაიკა, ისტორიული შეკეთების დაზიანება ღვთისმშობლის სახესა და კისერზე, გამოთეთრების ლაქები (სავარაუდო გამომარილება) ფონზე, 2023 წლის 20 იანვარი

28. ისტორიული შეკეთების დაზიანება ღვთისმშობლის სახესა და კისერზე, გამოთეთრების ლაქები (სავარაუდო გამომარილება) ფონზე, 2023 წლის 20 იანვარი